# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



## ძვირფასო ბოლნისელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ბოლნისის მერობის კანდიდატისა და ბოლნისის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ბოლნისის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ბოლნისი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო***

# ბოლნისის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 17,7 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 36 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი სულ 14,5 მლნ ლარი იყო, 2021 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი 43,4 მლნ ლარს შეადგენს.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ბოლნისის მუნიციპალიტეტში,** 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების** 2 პროექტი განხორციელდა (ჯამური ინვესტიცია 2 678 339 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 1 137 864 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 4 პროექტი (ჯამურად 528 798 ლარი, თანამონაწილეობა 210 159 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 512 ჰექტარზე განხორციელდა 76 პროექტი (ჯამური ინვესტიცია 5 369 290 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 9 594 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 21 791 373 ლარი), რითაც 1 036-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. სტიქიით მიყენებული ზარალი 2 115 676 ლარით ანაზღაურდა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამით**, დღეისათვის მოქმედებს 11 კოოპერატივი (107 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 336 890 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 34 528 468 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 4 640 487 ლარი), რითაც 501-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 8 პროექტი (ჯამურად 889 666 ლარი, თანადაფინანსება 349 774 ლარი). **2020 წლიდან ხორციელდება 2 პროგრამა: მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 5 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამური ინვესტიცია 1 055 917 ლარი, თანადაფინანსება 818 174 ლარი), ხოლო **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** განხორციელდა 1 პროექტი (64 164 ლარი, თანადაფინანსება 32 082 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე**, 2013-2020 წლებში, 5 853 047 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 0-დან (2013 წელს) 2380 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;
- ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;
- 2024 წლისთვის დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 6 546 ჰექტრამდე ზრდა.

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.** ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 საწარმო (ინვესტიციაა ჯამურად 1 465 000 ლარი, დასაქმებულია 46 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით 410 146 ლარის გრანტი გაიცა. 580 958 ლარის ინვესტიციით ჯამურად დაფინანსდა 52 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოება – 33, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 19 პროექტი).

- მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;
- წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.** ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

**ქვემო ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა:** 5 ჰიდროელექტროსადგური (პანტიანიჰესი, კაზრეთიჰესი, დებედაჰესი, მარნეულიჰესი, ორო ჰესი). სადგურების ჯამური დადგმული სიმძლავრე 9 მეგავატია, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 7 მლნ აშშ დოლარი. ასევე, ექსპლოატაციაში შევიდა 2 თბოელექტროსადგური (გარდაბნის თბოსადგური, გარდაბნის თბოსადგური 2) ჯამური დადგმული სიმძლავრით 461 მეგავატი, ჯამური საინვესტიციო მოცულობა 410 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის ეტაპზეა** ხრამი ჰესი (1 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,13 მგვტ); ჯანდარა ჰესი (1,5 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 0,25 მგვტ); „დუმან მაშავერა-ჰესი“ – სავარაუდოდ 2 712 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 1,96 მგვტ). **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა** შემდეგი ენერგეტიკული პროექტები: ყიზილაჯლო ჰესი (5,6 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,10 მგვტ); მტკვარი კასკადი 4 (136 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 78,10 მგვტ); ხრამი ჰესი 3 (41 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 16,07 მგვტ); ხრამი ჰესი 4 (40 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 14,97 მგვტ); ხრამი ჰესი 5 (50 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.




სოფელ მუშევანთან არსებული ხიდის რეაბილიტაცია

სიმძლავრე – 19,89 მგვტ); ქვემო ოროზმან ჰესი (1,3 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 0,63 მგვტ); მაშავერა ჰესი 3 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,20 მგვტ); მაშავერა ჰესი 2 (8 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 4,02 მგვტ); ზემო ყარაბულახი ჰესი (1 960 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე – 1,03 მგვტ); ნახიდური ჰესი (16 მლნ. აშშ დოლარი დადგმ.სიმძლავრე 9 მგვტ); ხრამი 7 ჰესი (10,5 მლნ აშშ დოლარი დადგმ. სიმძლავრე 3 მგვტ); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა ქარის ელექტროსადგურების პროექტები:** „პირველი 1 ქარის ელ.სადგური" (62 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 30,00 მგვტ); „სააკაძე ქარის ელ.სადგური" (28 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 15,00 მგვტ); მარტყოფის ქარის ელ.სადგური (69 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 50 მგვტ); სამგორის ქარის ელ.სადგური (4 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე – 8 მგვტ); „გარდაბნის ბიო-თბოელექტროსადგური" (1,5 მლნ აშშ დოლარი; დადგმ. სიმძლავრე – 3,00 მგვტ).

**ბოლნისის მუნიციპალიტეტში,** 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 7,279 აბონენტი. 2013-2017 წლებში, 6 098 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

## ტურიზმი

**„ქართული ოცნების" გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ტურიზმის განვითარების მიზნით,** დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, საინფორმაციო საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ადგილების შესახებ; ქალაქში დამონტაჟდა ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებლები. განხორციელდა სალაშქრო ბილიკების მარკირება. **„ღვინის გზის" პროექტის ფარგლებში,** განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი. განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევის პროექტი.

- „ქართული ოცნების" გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 68 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 340 კუბური მეტრი ხე-ტყე. განხორციელდა **ტყის აღდგენის ღონისძიებები** 22,2 ჰა ფართობზე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.**

- სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების" კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);
- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ბოლნისში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 24 მლნ ლარამდე დაიხარჯა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ხიდს.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ბოლნისის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 20 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 3 163 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ბოლნისის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 8 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. 2021 წელს დასრულდა სოფელ ქვემო ბოლნისის მკვებავი არსებული წყალსადენის მილის რეაბილიტაციისა (157 367.00 ლარი) და ქ. ბოლნისის „ყარაბულახის" სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციისა და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოების შესყიდვა (10258 ლარი).



### 2021-2022 წლებისთვის, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ ბალიჭის შიდაგზის მოწყობა – 975 201 ლ;
- ქ. ბოლნისში, მერაბ კოსტავას და იაკობ ცურტაველის (თამარ მეფის ქ. №10–დან №12–მდე) ქუჩებზე გზის რეაბილიტაცია (№1 მონაკვეთი) – 640 895 ლ;
- ქ. ბოლნისში, მერაბ კოსტავას და იაკობ ცურტაველის (თამარ მეფის ქ. №10-დან №12-მდე) ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია (№1 და №2 მონაკვეთი) – 192 000 ლ;
- ქ. ბოლნისში ფარნავაზ მეფის ქ. (№54-დან №79-მდე) ქვაფენილების მოწყობა – 250 000 ლ;
- ქ. ბოლნისში, შოთა რუსთაველის ქ.(№47-დან №79-მდე) ქვაფენილის მოწყობა – 340 000 ლ;
- სოფ. ნახიდურში გზის მოწყობია (მონაკვეთი №1) – 287 201 ლ;
- სოფ. ტალავერში გზის მოწყობა (მე-2-ეტაპი) – 400 000 ლ;
- სოფ. ქვემო ბოლნისში, გზის მოწყობა(მე-2 ეტაპი) – 653 000 ლ;
- ქ. ბოლნისში ვახტანგ გორგასლისა და თამარ მეფის ქ. რეაბილიტაცია – 570 000 ლ;
- ქ. ბოლნისში, ფარნავაზ მეფის ქ. №41-ში მდებარე შენობის შიდა რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა – 360 000 ლ ;
- სოფ. ქვემო ბოლნისში რიტუალების სახლის მშენებლობა – 450 000 ლ;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2021 წელს, გარეგანათების მომსახურება – 396 000 ლ;
- ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქ.№191 -ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის მოწყობა – 43 660 ლ;
- ქ.ბოლნისში მდ. მაშავერაზე ხიდის მოწყობა – 920 000 ლ;
- ქ. ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ქ. №43-ში სათნოების სახლის ეზოში ახალი საცხოვრებელი კორპუსის მიშენება – 419 000 ლ;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტში ჭაბურღილებისათვის წყალსაქაჩი ტუმბოების შეძენა/მონტაჟი – 58 670 ლ;
- ქ. ბოლნისში სულხან-საბა ორბელიანის ქ. №188-ში კორპუსის გამაგრება/სახურავის რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა – 232 000 ლ;
- დაბა კაზრეთში: №95/102 და №9/4 მრავალბინიანი საცხოვრებელი ორი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია – 225 000 ლ;
- ქ. ბოლნისში: კოსტავას ქ. №20-ში, დავით აღმაშენებლის ქ.№23-სა და დავით აღმაშენებლის ქ.№17-ში მდებარე სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია – 140 000 ლ;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენა – 190 000 ლ;
- დაბა თამარისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების (10; 12; 12a; 13; 14; 15; 16) რეაბილიტაცია – 115 000 ლ;
- სოფ. ნახიდურში შახტური ჭის მოწყობია – 103 000 ლ;
- სოფ. ნახიდურში სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 39 959 ლ;
- სოფ. რატევნის შიდაგზების მოწყობა – 846 000 ლ;
- სოფ. რაჭისუბანში სასაფლაოსთან მისასვლელი შიდა ს/გზის მოწყობა – 386 000 ლ;
- სოფ. ძველ ქვეშში შიდა ს/გზის მოწყობა (მე-2 მონაკვეთი) – 408 000 ლ;
- სოფ. მუშევანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მე-3 ეტაპი) – 426 000 ლ;
- სოფ. მუშევნის ხიდის რეაბილიტაცია – 100 000 ლ;

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# დავით შერაზადიშვილი: „ბოლნისელებს ვპირდები, რომ მათთან ერთად უკეთეს ბოლნისს შევქმნი“

**„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ბოლნისში დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის გამგებელიც იყო და მერიც, ამიტომ მშობლიურ მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. თითქმის ყველას იცნობს – იმის გამო, რომ აქ დაბადებულ-გაზრდილია, საქმიანობიდან გამომდინარეც და იმიტომაც, რომ თავისუფალ დროს, ქუჩაში ფეხით გასეირნება, ბოლნისელების თავშეყრის ადგილებზე დაყოვნება, მათი მოსმენა და მათთან საუბარი ძალიან უყვარს. ამბობს, რომ მერობის პერიოდში, გუნდთან ერთად არაერთი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა. არჩევნებში მეორედ მონაწილეობის მიზანი კი, საყვარელი ბოლნისისთვის, უფრო მეტი სიკეთის მოტანაა.**

**– ბატონო დავით, თქვენი შეფასებით, გუნდმა კიდევ ერთხელ ნდობა თქვენ რატომ გამოგიცხადათ?**

– პირველ რიგში, მინდა, მადლობა გადავუხადო მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ კიდევ ერთხელ გამოცხადებული ნდობისთვის. დიდ პატივთან ერთად, უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო ხალხის მიერ არჩეული მერი და ამ პასუხისმგებლობას ყოველთვის ვიზიარებ. ჩემს გუნდთან ერთად ყოველდღიურად ვიღვწი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის. აქ, ჩემთვის ყველა და ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია. დეტალურად ვიცი თითოეული მოქალაქისა თუ დასახლებული პუნქტის საჭიროება. მათი სიხარული მახარებს, ხოლო ტკივილი მტკივა. რაც თავი მახსოვს, მახსოვს ბოლნისიც, მუდამ ბოლნისელებთან ვარ და ამ ხნის განმავლობაში, მათი ინტერესების გათვალისწინებით ბევრი პროექტი განვახორციელეთ. ვფიქრობ, სწორედ ჩვენი ადამიანებისა და საქმისადმი მიდგომები გახდა წინაპირობა, რომ კვლავ გამომიცხადა ნდობა პოლიტიკურმა გუნდმა. მათ იციან, რომ ბოლნისი ჩემთვის განსაკუთრებულია. ბოლნისი ჩვენი სახლია და მისი უკეთესი მომავლისთვის შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებ.

**– ანუ, ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი კონტაქტი გქონდათ. მერისგან ბოლნისელები უმეტესად რას ითხოვდნენ?**

– როგორც მოგახსენეთ, ბოლნისში დაბადებულ-გაზრდილი ვარ და მთელი ჩემი ცხოვრება აქ გავატარე. შესაბამისად, მოსახლეობის უმეტესობას პირადად ვიცნობ. ადგილობრივებთან მაქვს ყოველდღიური მეგობრული ურთიერთობა. ვმართავთ გასვლით საჯარო შეხვედრებს, გვაქვს მოქალაქეთა მიღების დღეები. ასევე, როგორც კი დრო მაძლევს შესაძლებლობას, ქალაქში ფეხით დავდივარ და ბოლნისელებს არაფორმალურ გარემოში ვხვდები, ვესაუბრები. ადამიანები სხვადასხვა საჭიროებების მოგვარებას ითხოვენ მერიისგან. ძირითადად მოგვმართავენ სოციალურ-ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული, საკითხების, დასაქმების, მედიკამენტებით უზრუნველყოფისა და ოპერაციების თანადაფინანსების მოსაგვარებლად. ჩვენ, ჩვენის მხრივ, არც ერთ მომართვას ყურადღებისმიღმა არ ვტოვებთ და თითოეულს შესაძლებლობებისა და კანონის ფარგლებში ვეხმარებით. დავხვეწეთ მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამა რაც გათვლილია სხვადასხვა საჭიროების მქონე მოქალაქეებზე. ამ პროექტის ფარგლებში, 2016-2020 წლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტმა სოციალურად დაუცველ 300 ოჯახს დაზიანებული სახლის სახურავები შეუცვალა. სხვა მრავალი პროექტიც განხორციელდა და მიმდინარეობს, რაც მოსახლეობისთვის უკეთესი პირობების შექმნას ემსახურება.

**– მუნიციპალიტეტში განხორციელებული არაერთი პროექტიდან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც 2 ოქტომბერს „სავიზიტო“ ბარათად გამოგადგებათ?**

– განხორციელებული პროექტებიდან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი, ზოგი კი – ისტორიულიცაა. ჩემთვის და ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანია გაცემული დაპირებების შესრულება, გამოცხადებული ნდობის გამართლება. იმისათვის, რომ ადამიანებისთვის იმედი არ გაგვეცრუებინა, ამ წლების მანძილზე ძალ-ღონე არ დაგვიშურებია და შევძელით არაერთი მნიშვნელოვანი, ფართომასშტაბიანი პროექტის განხორციელება: დაბა კაზრეთში ათწლეულების მანძილზე უფუნქციოდ დარჩენილი ლიფტის შახტები დღეს გამართულად მუშაობს და მრავალსართულიანი სახლების მოსახლეობას ყოველდღიური ყოფა შეუმსუბუქდა. ეს ისტორიული პროექტია. მუნიციპალიტეტის მასშტაბით დღესაც აქტიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. მოგეხსენებათ, ქალაქი ბოლნისი 200 წლის წინ შვაბმა კოლონისტებმა დააარსეს და გვინდა, ქალაქის გერმანულ უბნებს ავთენტურობა დავუბრუნოთ. ამ მიზნით მოვახდინეთ 15 ქუჩის რეაბილიტაცია, მოეწყო ქვაფენილები, გამოიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, შეიცვალა ჭიშკრები და ღობეები. პროცესი დღესაც გრძელდება. შევძელით 19 სოფლის გაზიფიცირება. მოეწყო სანიაღვრე სისტემები. აშენდა იუსტიციის სახლი. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოეწყო დასასვენებელი სივრცეები და სპორტული მოედნები. კომპანია RMG-ის დაფინანსებით აშენდა ახალი მუზეუმი. ბოლნისში ევროკავშირის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა და აშენდა აგროცენტრი, რაც ადგილობრივებს წარმოების განვითარებაში ეხმარება. ჩვენთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნაა. შევძელით, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედი 12 ბაღიდან თანამედროვე სტანდარტებს 11 შეესაბამება. დარჩენილი ბაღის რეაბილიტაცია კი ახლა მიმდინარეობს. გეგმაში გვაქვს კიდევ რამდენიმე სოფელში ახალი ბაღების მშენებლობა. ყურადღება მივაქციეთ სკოლებსაც. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა ზოგადი განათლება კომფორტულ გარემოში მიიღონ. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტში თანამედროვე სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. ჩემი მერობის პერიოდში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბოლნისის №5 და ტალავერის №1 საჯარო სკოლებს. სოფელ ფოლადაურსა და ზვარეთში აშენდა მცირეკონტიგენტიანი სკოლების ახალი შენობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქალაქ ბოლნისი №1 და სოფელ ქვეშის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია.



დაიბადა 1969 წლის 3 დეკემბერს, ბოლნისში. 1986 წელს დაამთავრა ქ. ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის №1 საშუალო სკოლა. 1988-1989 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური. 1987-1993 წლებში დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკური სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი.

1994-1995 მუშაობდა დაბა თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკაში ექიმ-ვეტერინარად, 1998–2000 წლებში იყო ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლნისის რაიონის რწმუნებული; 2000-2011 წლებში მუშაობდა მეფრინველეობის ფაბრიკაში შპს „სავანეთი 99“ სხვადასხვა თანამდებობაზე.

2012-2014 წლებში იყო შპს „მექანიზატორის“ ბოლნისის სერვისცენტრის მენეჯერი, 2014-2016 წლებში კი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე.

2016 წლიდან დღემდე არის ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

**– საგანმანათლებლო მიმართულებით მსგავსი პროექტების განხორციელება ძალიან კარგია, მაგრამ რა კეთდება იმისთვის, რომ ახალგაზრდებს ბოლნისიდან წასვლის სურვილი არ გაუჩნდეთ?**

– ახალგაზრდებთან ურთიერთობა და მათი მოსაზრებების გაზიარება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. გვაქვს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო – ახალგაზრდობის საბჭო, რომლის წევრებიც იდეებს, მოსაზრებებს განიხილავენ და შემდგომ წარმოგვიდგენენ. ყოველთვის მზად ვართ მათ ინიციატივებს, პროექტებს მხარი დავუჭიროთ. უკვე დავამტკიცეთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტრატეგია. ის განსაზღვრავს, როგორ უნდა განვითარდეს ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემა ადგილობრივ დონეზე, მათ შორის იარსებებს კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტში აისახება. ასევე გვაქვს სტუდენტებისა და სპორტსმენების მხარდამჭერი პროგრამა, მუნიციპალური სტიპენდია. ახალგაზრდების უფრო გააქტიურებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი აქტიური ჩართულობის მიზნით, გავხსენით სათემო ახალგაზრდული ცენტრები ნახიდურში, ტალავერში, დარბაზში, ქვემო ბოლნისსა და დაბა კაზრეთში. ეს არის საჭიროებებზე მორგებული სივრცეები, სადაც რეგულარულად იგეგმება და ხორციელდება ახალგაზრდული, კულტურული, შემეცნებითი, გასართობი, სპორტული და სხვა თემატური პროექტები, აქტივობები.

**– რადგან ბოლნისის მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტივა სოფლის მეურნეობაა, ბოლო წლებში აქტივობები ამ მიმართულებაც თუ არის?**

– დიახ, სოფლის მეურნეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია. სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვის მატარებელია სწორი

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და იმ სახელმწიფო პროექტების სრულფასოვანი, ეფექტური განხორციელება, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკური აქტივობის ზრდას და სოფლად მწარმოებლურობის გაზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ადამიანების დასაქმებას უზრუნველყოფს. ბოლო წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტში პერსპექტიულია მევენახეობა-მეღვინეობა. ყურადღებას იპყრობს საოჯახო მარნები და ქვევრის ბოლნური ღვინოები. ბოლნისურ ვაზსა და ღვინოს დიდი წარსული და ისტორია აქვს, მიენიჭა ადგილწარმოშობის დასახელება – ბოლნისი. დღეს პოპულარულია ძველი ქართული ტექნოლოგიით დამზადებული ქვევრის ბოლნისური ღვინო. ამ ეტაპზე, ბოლნისში 30 საოჯახო მარანია, ძირითადად, გვხვდება ძველი აღდგენილი ვაზის ჯიშებისგან დამზადებული ღვინოები: საფერავი, რქაწითელი, თავკვერი, მწვანე, შავკაპიტო, ასურეთული შავი, ალიგოტე... ქვევრის ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. სწორედ ამის დასტურად, „იუნესკომ“ ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ბოლნისში ღვინის წარმოების კულტურის აღორძინება მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას აძლევს რეგიონში ღვინის ტურიზმის ცენტრად იქცეს. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით, არაერთ პროექტს ვახორციელებთ.

ასევე, ბოლნისის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, კულტურული და ისტორიული ძეგლები ქმნის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. სასიხარულოა, რომ ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი რეგიონების განვითარებაა. ამის ნათელი მაგალითია პრემიერის ინიციატივით დაწყებული ახალი პროექტი „განახლებული რეგიონები“, რომლის ფარგლებშიც მოხდება ურბანული განახლება.

**– ეს მიდგომაა მთავარი მიზეზი, რის გამოც დღემდე „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ?**

– დიახ, თუმცა სხვა მიზეზებიც მაქვს... ჩემთვის ადამიანი უმთავრესია, მიყვარს მასთან ურთიერთობა და ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის ის, რის გამოც ვარ „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი. ამ პოლიტიკური პარტიისთვის ადამიანის ღირსება და თავისუფლება უპირველესია.

**– ბოლნისელებისთვის კი, უმთავრესია იმის გაგება, ამჯერად რას ჰპირდებით მათ. მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით რა გეგმები გაქვთ?**

– მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა განვახორციელეთ, გამოწვევები კიდევ ბევრია. მოსახლეობას ვპირდები, რომ მათთან ერთად შევქმნი უკეთეს ბოლნისს. განვაგრძობთ ინფრასტრუქტურის მოწყობა – განვითარებას, იმისათვის, რომ ბოლნისელებს ჰქონდეთ უკეთესი საცხოვრებელი პირობები. არასოდეს მიმიტოვებია მშობლიური კუთხე, ჩვენ ერთად გადავიტანეთ განსაკუთრებით მძიმე პერიოდი – პანდემიის დროს პირველი სწორედ ჩვენი მუნიციპალიტეტი მოექცა საკარანტინე პირობებში და ერთად გავუმკლავდით გასაჭირს. მომავალშიც აქ ვაპირებ ცხოვრებას. როცა დავასრულებ საჯარო მოღვაწეობას მერეც უნდა შევძლო აქაურ ადამიანებს თვალებში მშვიდად ჩავხედო. ბოლნისელებმა კიდევ ერთხელ იმიტომ უნდა დამიჭირონ მხარი, რომ ერთ-ერთი მათგანი ვარ, რომელსაც მათსავით უხარია, სტკივა და გული შესტკივა ბოლნისზე. ერთმანეთი საქმეში გამოცდილი გვყავს, ჩვენს შორის ნდობის ჯაჭვი გაბმულია და იციან, რომ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის დროა, რათა შევქმნათ უფრო უკეთესი ხვალინდელი დღე რაც მხოლოდ ერთად დგომითა და მხარდაჭერით არის შესაძლებელი. სწორედ ამიტომ მჯერა, რომ ბოლნისელები კვლავ გამომიცხადებენ ნდობას.

**– ბოლნისელებისთვის ერთ-ერთ გამოწვევად დღემდე რჩება გარემოსდაცვითი სამართალდარღვევები და გარემოს დაბინძურება. რა ვითარებაა ამ მხრივ დღეს მუნიციპალიტეტში და მერის როლი როგორი შეიძლება იყოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით?**

– მოგეხსენებათ, ქვემო ქართლის რეგიონში მუშაობდა გარემოს დაბინძურების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო დარგის ექსპერტებით და ამ ჯგუფის აქტივობები წარმატებული გამოდგა. კომპანია RMG-ის აღებული აქვს სამწლიანი ვალდებულება გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩასატარებლად. დღეის მდგომარეობით, გაუმჯობესებულია ეკოლოგიური ვითარება. მდინარე მაშავერაში თევზი კვლავ გაჩნდა, რაც იმის ნიშანია, რომ პროგრესი ნამდვილად გვაქვს. აქტიურად ვართ ჩართული სხვადასხვა გარემოსდაცვით ღონისძიებებსა და კამპანიებში. ჩვენს მუნიციპალიტეტში შექმნილია გამწვანების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოს დაცვისა და ურბანული ეკოსისტემების მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, ყოველდღიურად ზრუნავს მწვანე საფარის გაუმჯობესებასა და მწვანე ზონების შექმნაზე.

უნდა უზრუნველვყოთ გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა.

მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობაა ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა. მუნიციპალური ნარჩენების მართვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება ასევე განეკუთვნება მუნიციპალიტეტების კომპეტენციას. მუნიციპალიტეტები, კომპეტენციის ფარგლებში, ასევე გასცემენ მშენებლობის ნებართვებს თავიანთ ტერიტორიაზე, რომელთა ნაწილი შეიძლება იყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და ვფიქრობ, სწორედ ზემო ჩამონათვალის სწორი და ეფექტური მართვაა ეკოლოგიის გაუმჯობესების წინაპირობა, რაშიც მერის ჩართულობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

მე, როგორც ხალხის მიერ არჩეული მერი, მუდამ მზად ვარ და ვიქნები დავიცვა მოსახლეობის ინტერესები, რათა მათ ჯანსაღ გარემოში იცხოვრონ.

**– ბატონო დავით, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ. ქვემო ქართლი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათთან როგორი ურთიერთობა გაქვთ და მათგანაც ელით მხარდაჭერას?**

– დიახ, ბოლნისი გამოირჩევა თავისი მრავალეთნიკური მოსახლეობით და ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ჩვენი მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა. აქ, სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების ადამიანები საუკუნეების მანძილზე ერთად მშვიდად, მეგობრულად ვცხოვრობთ. პატივს ვცემთ ერთმანეთის კულტურასა და ტრადიციებს, ერთად ვზეიმობთ დღესასწაულებს. ჩვენ ერთად ვიღვწით უკეთესი ბოლნისის შესაქმნელად და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება. ცხადია, მხარდაჭერას, მათგანაც ველი.



# დავით შერაზადიშვილის დიდი ოჯახი და „მთავარი მოტივატორები“

მომავალი მეუღლე, თამარ ისიანი ჯერ კიდევ ბავშვობაში გაიცნო. ერთ უბანში, ფაქტობრივად, ერთად გაიზარდნენ. მათი სიყვარულის ისტორიაც სწორედ ბავშვობიდან იწყება.

20 წლის იყო, როცა ოჯახური უღელი დაიდგა და უკვე სამი ათწლეულია, ამ უღელს ერთად, ღირსეულად ატარებენ. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, ერთმანეთს გვერდით არ დადგომოდნენ. მეგობრული, ურთიერთპატივისცემაზე, ნდობასა და სიყვარულზე დამყარებული ურთიერთობა აქვთ. ყოველთვის იზიარებენ და ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. მიაჩნია, რომ მისი ოჯახის ფუძე და სიმტკიცე სწორედ ესაა – სიყვარული, ურთიერთგაგება და ნდობა.

სამი შვილი ჰყავთ: თორნიკე, მარიამი და ნინო. ნინო ორ შვილს ზრდის და ამ ეტაპზე, მისი ყველაზე საპასუხისმგებლო საქმიანობა დედობაა. მარიამი ახლახან დაოჯახდა და ერთ-ერთ კერძო აუდიტორულ კომპანიაში მუშაობს. თორნიკე კი პოლიტმეცნიერების ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, თუმცა სამსახურს თავი დაანება და საოჯახო ბიზნესითაა დაკავებული. მევენახეობის განვითარება და ღვინის სხვადასხვა წესით დამზადების შესწავლა, ოჯახის წევრების საერთო ინტერესია. საოჯახო მარანში „შალოს მარანი“, ქვევრის ღვინოს ტრადიციული მეთოდით აყენებენ, ადგილობრივ ბაზარზეც გააქვთ და ექსპორტზეც.

შერაზადიშვილების ოჯახი ყოველთვის სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. აქ ყველა უბრალო საოჯახო სადილიც კი დღესასწაულს ემსგავსება. კალენდარულ დღესასწაულებს კი, ტრადიციულად, ოჯახურ გარემოში, ერთად ხვდებიან.

მკაცრი მამა არასოდეს ყოფილა. შვილებთან მეგობრობს კიდეც. ერთადერთი მოთხოვნა, რაც მათ მიმართ შერაზადიშვილების წყვილს ჰქონდა ის იყო, კარგად ესწავლათ და ზრდილობიანი, კეთილსინდისიერი ადამიანები ყოფილიყვნენ. ბედნიერია, რომ შვილებმა მშობლების მოთხოვნა პირნათლად შეასრულეს.

კანდიდატის განსაკუთრებული სიყვარულია შვილიშვილები – ელენე და ალექსანდრე ტაბატაძეები. დროს როგორც კი გამონახავს, ცდილობს, მათ გარემოცვაში დადებითი ემოციებით აივსოს. სწორედ შვილიშვილებია მისი მოტივატორები, აკეთოს ბევრი სასიკეთო საქმე, რაც ახალ თაობებს უკეთეს მომავალს შეუქმნის.

უყვარს მაგიდის ჩოგბურთი და ზოგჯერ, თამაშობს კიდეც. ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევს – არ ეწევა და ვარჯიშობს. ამისთვის, მერობის დროსაც აუცილებლად იცლიდა. ესაა ის, რაც არც საარჩევნო ციებ-ცხელების დასრულებისა და არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შეიცვლება – ყოველ დილით გამოვა სახლიდან სარბენად. დროის ამ მონაკვეთში საკუთარ თავთან მარტო დარჩენასაც მოახერხებს და გაიხსენებს ბოლნისში გატარებულ ბავშვობას, საჯარო სამსახურში დასაქმებულ მშობლებს, მასა და მის დებზე მზრუნველ ბებია-ბაბუებს, რომლებსაც საოჯახო მეურნეობის მოვლა-განვითარებაში ბავშვობიდან ეხმარებოდა. გაიხსენებს მეგობრებთან ერთად ფეხბურთის თამაშს, მდინარეში ცურვას, თევზაობას... გონებაში ცხოვრების სხვა პერიოდებიც ამოტივტივდება. მაგალითად, მეფრინველეობის ფაბრიკა „სავანეთში“ მუშაობის წლები და მუდმივი ფიქრი იმაზე, რომ რადგან სხვა ბიზნესმენზე ზეწოლა განახორციელეს, შეიძლება მომდევნო შენ იყო. კადრივით გაივლის მის თვალწინ 2011-2012 წლებიც, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებაც და ის პროექტებიც, რომლებიც მერობის დროს განახორციელა იქ, საიდან წასვლის შანსიც ბევრჯერ მიეცა, მაგრამ ამაზე არასოდეს უფიქრია, რადგან ბედნიერი მხოლოდ აქაა – მშობლიურ, საყვარელ ბოლნისში!



# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**



2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ბოლნისის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილია 55 219 099 ლარი, დაფინანსდა 103 651 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (4 290 805,4 ლარი, 335 618 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (5 528 022 ლარი, 61 638 მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (35 436 418 ლარი, 25 416 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (7 339 419 ლარი, 7025 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 893 010 ლარი, 5037 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 963 733lari, 3544 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით ბოლნისში, დაფინანსდა 3036 ბენეფიციარი (157 918 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. ბოლნისის მუნიციპალიტეტში 78%-დან 80.9%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი.

**ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ბოლნისში,** სტაციონარული მკურნალობით 155-მა (693 634 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1347-მა პაციენტმა (171 701 ლარი) ისარგებლა.

**დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 6872-მა ორსულმა (353296 ათასი ლარი). საჭირო მედიკამენტები – 1261-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი), პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 617 პირი (122 125 მლნ ლარი).

**2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ბოლნისის მუნიციპალიტეტს 60 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** ახლადაშენებული ამბულატორიის მოწყობა სოფელ ქაპალაში (8019 ლარი), ამბულატორიების რეაბილიტაცია/კოსმეტიკური რემონტი სოფლებში; ქვემო ბოლნისი (12 253 ლ), ძველი ქვეში (25 000 ლ), დარბაზი (33 848 ლ), სოფელი ბოლნისი (23 577 ლ), რატევანი (34 963 ლ), ქვემო ბოლნისი სტიქიით დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცი (20 558 ლარი). ხატისოფელში ახალი ამბულატორიის მშენებლობა (48 580 ლარი), სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა/მოწყობა ქ. ბოლნისში – 131 316,6 ლარი და ეზოს კეთილმოწყობა -158 630,5 ლარი.

**2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 420,3 ათასი ლარი შეადგინა.**

## ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.




41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არაუმეტეს 100 კვტ/სთ).

**ბოლნისის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღები 10841 პირია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2,5-ჯერ – 11 596 550-დან 28 993 332 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ 175 694 594 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ბოლნისის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებია (2020 წლის აპრილის მდგომარეობით) 112 პირი. 2012 წლის შემდეგ, სახელმწიფო კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4-ჯერ - 148 200-დან 656 660 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში გაცემულია სულ 4 619 795 ლარი.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ბოლნისის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2553 ოჯახია (01.04,2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 5,2-ჯერ – 995 ათასიდან 5 215 ათას ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 24 853 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 4 374 ათასი, შშმ პირებზე – 1 432 ათასი, ბავშვებზე – 11 428 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ბოლნისში სოციალური პაკეტით სარგებლობს 1985 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომარეობით), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი თითქმის 6,8-ჯერ 492 791-დან 3 376 615 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, გაცემულია სულ 21 185 351 ლარი.



**ბოლნისის მუნიციპალიტეტში** 499 **დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, მათ შემწეობებზე გაწეული ხარჯი 252 282-დან 280 485 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 723 924 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან**, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაკმაყოფილდა 109 ოჯახი.** პროექტით **„სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 96 დევნილ ოჯახს შეუსყიდა;** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული **ფართი 13 დევნილ ოჯახს დაუკანონდა.** საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. 2013-2021 წლებში, გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ საქართველოს მასშტაბით 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა. 2013-2021 წლებში, 667 ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, ხოლო 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ბოლნისში დაფინანსებულია 32 ბენეფიციარი (01.04.2021 წ. მდგომ.), რაშიც, 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 259 500 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 57 700.

**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ბოლნისის მუნიციპალიტეტზე – 3 115 355 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში, 2020 წელს, ბოლნისში ჩართული იყო 1 189 ოჯახი, 2021 წელს – 1524. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ბოლნისში, 2020 წელს ისარგებლა 500-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 624-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** დამატებით გამოყოფილია 100 ლარი, ბოლნისში, 2020 წელს 537-მა, 2021 წელს კი (ივნისის მონაცემებით) დახმარება მიიღო 560-მა პირმა.

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან,** სოციალური სფეროს დაფინანსება 3-ჯერ გაიზარდა – სოციალური დაცვის ხარჯები და არაფინანსური აქტივები 1564,9 ათასიდან – 4918,1 ათას ლარამდე.

**მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა,** მათ შორის ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ქრონიკული დაავადებების მქონე მოსახლეობის უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარებები, სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ლოგოპედის მომსახურეობით უზრუნველყოფა, სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, გათბობის სეზონისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა, სამედიცინო უზრუნველყოფის პროგრამა, ბინის ქირით უზრუნვეყოფა, სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახების კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა, სტუდენტთა დახმარება, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

ბოლნისში ფუნქციონირებს 12 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (6 – ქ. ბოლნისში, 2 – დაბა კაზრეთსა და დაბა თამარისში, ხოლო 4 – სოფლად). 4 სოფელში: ნახიდური, ტალავერი, დარბაზი, ბოლნისი – ფუნქციონირებს 5 ალტერნატიული სკოლამდელი განათლების დღის ცენტრი.

**2013 წლიდან საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო.** 2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივები 1,2 მლნ-დან 4,2 მლნ ლარამდე გაიზარდა.

2013-2021 წლებში **რეაბილიტაცია** ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებს. მათ შორის, სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა: **2013 წელს** ქ. ბოლნისის №2 (94,1 ათასი ლ); №4 (63,6 ათასი ლ); დაბა კაზრეთის (70,3 ათასი ლ) საბავშვო ბაღებში. 2014-2016 წლებში – დაბა კაზრეთის, სოფ. ბალიჭის, ქ. ბოლნისის №1, №3, №5, №6, თამარისის, ქვეშისა და რატევანის საბავშვო ბაღებში (სულ 2, 3 მლნ ლარი); **2017-2019 წლებში,** მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 1 მლნ 45,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს** სოფელ ტანძიის საბავშვო ბაღში გარემონტდა 1 ასაკობრივი ჯგუფი, სამზარეულო და პროდუქტის შესანახი საწყობები. დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა. დაბა კაზრეთის საბავშვო ბაღის შენობას **ჩაუტარდა** გამაგრებითი სამუშაოები (209,2 ათასი ლ); მუნიციპალიტეტის 11 საბავშვო ბაღში გარემონტდა სამზარეულოები და მოეწყო სველი წერტილები (205 ათასი ლ); სოფელ ნახიდურში მოეწყო ალტერნატიული სკოლამდელი განათლების სასკოლო მზაობის დღის ცენტრის მეორე ჯგუფი (20 ათასი ლარი); **2021 წელს** დაბა კაზრეთის საბავშვო ბაღში გარემონტდა სამზარეულო და 2 ასაკობრივი ჯგუფი (78,6 ათასი ლ); **ყველა საბავშვო ბაღში გაძლიერდა ელ. ენერგიის ძაბვა,** სტანდარტების უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით, დამონტაჟდა ელექტროქურა.

**შესრულებული სამუშაოების შედეგად,** 2020-2021 წ.წ. საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 900-დან 1280-მდე გაიზარდა. 2021 წელს ასევე **3,46** ლარამდე გაიზარდა **კვების ყოველდღიური თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე. ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან: დისველი, ხატისოფელი და ვანათი – **უზრუნველყოფილია აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება.**

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებსა და დღის ცენტრებში **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 20 ჯგუფში (15-საბავშვო ბაღში, 5 – ალტერნატიულ დღის ცენტრში), სადაც 475 ბავშვია. საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 103 აღმზრდელი (30 – სასკოლო მზაობის ჯგუფებში), 13 ექიმი/ექთანი, 9 ფსიქოლოგი, 12 ლოგოპედი, 1 სპეც.მასწავლებელი, 13 მუსიკის მასწავლებელი. 2020 წლის სექტემბრიდან, საბავ-

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

შვო ბაღში დასაქმებულ პერსონალს **გაეზარდა ხელფასი 100 ლარით.** 317-მა თანამშრომელმა გაიარა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით.

## ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში 32 საჯარო სკოლაა (ქალაქში – 4, სოფლად – 28), სადაც 7705 მოსწავლე, 857 მასწავლებელი და 26 სპეციალური მასწავლებელია. ბოლნისში, არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის 92 კონსულტანტ-მასწავლებელი მუშაობს. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 172 სსსმ მოსწავლე. 14 საჯარო სკოლას 31 მანდატური ემსახურება. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში.

**ბოლნისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამა, მათ შორის: „ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, ქ. ბოლნისის №5 საჯარო სკოლას 17 ლეპტოპი გადაეცა, ხოლო **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით**, 8 სკოლას – 80 კომპიუტერი. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** 3820 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, ბოლნისში **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** სკოლების აღჭურვის 29, ხოლო **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 40 პროექტი განხორციელდა, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით/ლოკალური უსადენო ქსელით** კი 22 საჯარო სკოლა აღიჭურვა. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“, 2013-2019 წლებში,** 4739 კომპიუტერი საჩუქრად გადაეცათ პირველკლასელებს, 272 – კლასის დამრიგებლებს. **2015-2019 წ.წ.,** ბოლნისში, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 49 პროექტი განხორციელდა. **„მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის“** პროგრამაში 19 საჯარო სკოლის (46 მიმართულება) 1018 მოსწავლეა ჩართული. **„წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების“** პროგრამით, 2013-2019 წლებში, პორტაბელური კომპიუტერები (ლეპტოპები) საჩუქრად ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 122 მოსწავლეს გადაეცა. **2017-2020 წ.წ.,** ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ჯამში, 1790 **სასკოლო ჟურნალი და** 139 682 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ დარიგდა. **2013-2019 წლებში,** ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, საერთო ჯამში, 137 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. მათ შორის, **2018-2019 წლებში,** 41 ოქროს და 9 ვერცხლის მედალოსანი. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** ეროვნული ცენტრის მიზნობრივი პროგრამებით ტრენინგმოდულები გაიარეს მასწავლებლებმა.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში,** 2013-2021 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 40 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 18 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლა. MCC– ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში მუნიციპალიტეტის 2 (ქ. ბოლნისის №5 და სოფელ ტალავრის) საჯარო სკოლაა ჩართული.

**2020 წელს,** კარ-ფანჯრების სარეაბილიტაციო და სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლაში, მათ შორის, ქალაქ ბოლნისის №2, სოფელ მამხუტის, ქვემო ბოლნისის №1, ხატისოფლის, სოფელ ბოლნისის, კიანეთის საბაზო, ქვემო არქევანის, ზემო არქევანის, მუშევანის, ქვეშის, ტალავერის, ფოცხვერიანის, ჭაპალის საჯარო სკოლებში (519, 5 ათასი ლარი); **დასრულდა** 60 მოსწავლეზე გათვლილი, №1 საჯარო სკოლის მშენებლობა სოფელ ქვემო ბოლნისში (ზვარეთის საბაზო) – 1,8 მლნ ლარი (მუნიციპალური განვითარების ფონდი);

**მიმდინარეობს (მუნიციპალური განვითარების ფონდი) შემდეგი პროექტები:** ქალაქ ბოლნისის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია) 4 მლნ 631,3 ათასი ლარი); ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (1 მლნ 493,4 ათასი ლარი); 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ სავანეთის საჯარო სკოლის იატაკების რეაბილიტაცია (62,405 ათასი ლარი).

## უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს ქვემო ქართლის რეგიონის (ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული და წალკა)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს ქვემო ქართლის რეგიონიდან დაფინანსდა 27 სტუდენტი. 2019-2020 სასწავლო წელს – 27 სტუდენტი, 2020-2021 სასწავლო წელს 27 სტუდენტი.



### „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, შემუშავდება და დამტკიცდება სამოქმედო გეგმა ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების უზრუნველსაყოფად;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომის სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად, ასევე, განივითაროს ყველა ის უნარი, რომელიც საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.
- საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება.
- გაგრძელდება მუნიციპლიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცა: 2020-2024 წლებში დაგეგმილია – სოფ. ტანძიის საბავშვო ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია (670 ათასი ლარი); დაბა კაზრეთისა (226 ათასი ლარი) და ბოლნისის №1 საბავშვო ბაღების შენობების გამაგრებითი სამუშაოები; სოფ. რაჭისუბანში 3-ჯგუფიანი ბაღის მშენებლობა; სოფ. ქვემო ბოლნისში 4-ჯგუფიანი საბავშვო ბაღის გახსნა; ბოლნისში 1 საბავშვო ბაღის მშენებლობა; დაბა კაზრეთში საბავშვო ბაღის შენობის კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოების შესყიდვა; 2021 წელს №1 საბავშვო ბაღის შენობას ჩაუტარდება გამაგრებითი სამუშაოები – 202 ათასი ლარი; 2024 წელს დაგეგმილია 2, ხოლო 2025 წელს – 1 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად:
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად, ასევე, განივითაროს ყველა ის უნარი, რომელიც საჭიროა თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის.
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ბოლნისში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2020-2022 წლებში, ქალაქ ბოლნისისა და მუნიციპალიტეტის სოფლების (ნახიდური, დისველი, გეტა, სავანეთი, მამხუტი, აკაურთა) საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე სულ 1,5 მლნ ლარი დაიხარჯება;
- უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა/ჩართულობა სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, მათ შორის – ტრენინგკურსებში;
- ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამაში ( „ახალი სკოლის მოდელის“ ქვეპროგრამა) 2023 წლამდე ჩაერთვება ყველა საჯარო სკოლა.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- 2023 წელს დაიწყება სამუშაოები ბოლნისის მუნიციპალიტეტში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების მიზნით.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**




## კულტურა

**ბოლნისში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კულტურის დაწესებულებები:** სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი, ღ. აღაიანის სახელობის სახლ-მუზეუმი, მთავარი ბიბლიოთეკა, საქალაქო ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა, 8 სასოფლო (რატევანის, რაჭისუბნის, დაბა თამარისის, დაბა კაზრეთის, ბალიჭის, ქვეშის, ტანძიის, სოფ. ბოლნისის) ბიბლიოთეკა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის ცენტრალური კულტურის სახლი (დაბა კაზრეთისა და სოფ. რატევნის კულტურის სახლები, სოფელ ქვეშისა და ქვემო ბოლნისის კლუბები), ზაურ ხუჯაძის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრი, ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკი.

**2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები 1,2 მლნ-დან 2,3 მლნ ლარამდე გაიზარდა.**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სახელოვნებო დაწესებულებებში ფუნქციონირებს 13 წრე, 10 სტუდია, 10 ანსამბლი, 1 საბავშვო თეატრი და 1 თოჯინების თეატრი. არაფორმალურ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროცესში ყოველწლიურად ჩართულია დაახლოებით 800 მოსწავლე. სხვადასხვა ანსამბლსა და ჯგუფში მონაწილეობს 100-ზე მეტი ხელოვანი.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა **საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.**

2019 წელს ბოლნისის თეატრმა წარმოადგინა განსხვავებული ფორმატის საპრემიერო სპექტაკლი – უილიამ შექსპირის „ჰამლეტი“. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში იმართება ტრადიციული ღონისძიებები: „საბაობა''; „ღამე მუზეუმში“; „ხალხური შემოქმედების მარგალიტები'', 2019 წელს მოეწყო ფოტოგამოფენა „ქვემო ქართლის ისტორიული ძეგლები''; 2020 წელს მოხდა ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შერწყმა ეროვნულ მუზეუმთან.

2019-2021 წლებში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის ცენტრალური კულტურის სახლთან არსებულმა სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია „პრესტოს“ მოცეკვავეებმა ქ. ბათუმში გამართულ საერთაშორისო რეიტინგულ ტურნირზე და ქ. თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე პირველი და მეორე ადგილები მოიპოვეს. ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ბოლნისი“, ქ. ბათუმში, მე-6 საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს არგო-2019“ პირველი ადგილი დაიკავა.

**2015-2021 წლებში,** სამინისტროს ხელშეწყობით, ქ. ბოლნისსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხორციელდება პროექტი **– „მრავალფეროვანი საქართველო“,** რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდების ინფორმირებულობა და შემოქმედებითი უნარების განვითარება.

2020 წლის ივნისში, **ფოლადაურის ხეობის, სოფელ ზემო ბოლნისის მიმდებარედ, ტყეში, აღმოჩენილ იქნა ნაეკლესიარი და ძველი სასაფლაო,** სადაც ნაპოვნია უნიკალური მნიშვნელობის არტეფაქტები. 2020 წლის 13 ოქტომბერს, ობიექტს მიენიჭა **კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.**

2014-2021 წლებში, განხორციელდა **კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:** ქ. ბოლნისში კულტურის სახლის სახურავის შეკეთება და სანკვანძის რეაბილიტაცია; მუსიკალური სკოლის შენობაში გათბობის სისტემის მოწყობა; სოფ. ტანძიაში სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმის აღდგენითი სამუშაოები; დაბა თამარისში, კინოთეატრის შენობის კონსერვაცია; დაბა კაზრეთში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია (სულ 161,8 ათასი ლ); **2015 წელს,** წმინდა ელიას მთაზე მდებარე მონასტრის ელექტრომომარაგების სამუშაოებს 57,5 ათასი ლარი მოხმარდა. **2017 წელს** განხორციელდა ქ. ბოლნისის მთავარი ბიბლიოთეკის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (17, 3 ათასი ლ); სათხის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე 30 ათასი ლარი დაიხარჯა; **2018 წელს** დაიწყო და 2021-ში დასრულდება სათხის ციხის სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები. **2019 წელს** დაბა კაზრეთში კულტურის სახლის რეაბილიტაციას (ბიბლიოთეკის ოთახი) 15,6 ათასი ლარი მოხმარდა. კომპანია RMG-ის დაფინანსებით, დასრულდა ბოლნისის მუზეუმის მშენებლობა, მოეწყო ექსპოზიცია და მუზეუმი იღებს ვიზიტორებს. **2020 წელს** ქ. ბოლნისში, კულტურის სახლის ცენტრალური გათბობის სისტემის რეაბილიტაციაზე 39,9 ათასი ლარი დაიხარჯა. **აშენდა** საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბოლნისის მუზეუმი (დაფინანსება – **RMG GOLD). 2021 წელი** – მიმდინარეობს ქ. ბოლნისში კულტურის სახლისა და მუსიკალური სკოლის სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები – 147,5 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი);

**კულტურის სამინისტრომ მიზნობრივი პროგრამებით, ბოლნისში, განახორციელა:** ბოლნისის სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის აზომვა და არქეოლოგიური შესწავლა გეოფიზიკური მეთოდებით; **გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია–კვლევის** ჩატარება; ქაფანაქჩის დარბაზული ეკლესიის რესტავრაცია; ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა – პროექტ „მრავალფეროვანი საქართველოს” მხარდაჭერა (სულ 142,2 ათასი ლარი).

2017 წელს შემუშავდა სათხის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია; 2018 წელს – დაბა კაზრეთის მიმდებარედ მაღაროს მღვიმური კომპლექსის ტერიტორიის არქეოლოგია;

2019 წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ბოლნისის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის** კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხვა და შესწავლა“ (საერთო ბიუჯეტი 19,7 ათასი ლარი) და „ციხესიმაგრეებიმომავლის მცველები” (საერთო ბიუჯეტი – 16,2 ათასი ლარი). ბოლნისის მუნიციპალიტეტს ფარავს საერთაშორისო პროექტი – **„გერმანული დასახლებების მარშრუტი“**. 2017 წელი – ა(ა)იპ „კონტაქტმა” განახორციელა პროექტი **„შემოქმედებითი საგანმანათლებლო კურსები საქართველოს რეგიონებში”** ;

**2019 წელს ჩატარდა** დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე მდებარე ორთვალა მღვიმის არქეოლოგია; ჩატარდა სათხის ეკლესიის რეაბილიტაციის III ეტაპი და კაზრეთი მაღაროს მღვიმის არქეოლოგია; **2020 წელი** – შემუშავდა წუღრუღაშენის გუმბათიანი ტაძრისა და გალავნის საშენი მასალის მდგომარეობის კვლევა და საპროექტო დოკუმენტაცია; ჩატარდა მაშავერას გორის არქეოლოგია, დაბა კაზრეთის ორთვალა მღვიმეში გამოვლენილი სატაძრო ნაგებობის არქეოლოგია, სათხის ეკლესიის III ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასრულდა ფიტარეთის ტაძრის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების IV ეტაპი. **2021 წელს** განხორციელდება წუღრუღაშენისა და ბოლნისის სიონის ტაძრებისა და გერმანული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია;

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბოლნისის მუზეუმი** – XXI საუკუნის რეგიონული მუზეუმის მოდელი, სადაც მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ტურიზმის სხვადასხვა სეგმენტი ერთ სივრცეში თანაარსებობს. მუზეუმები სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. აქ უახლესი სტანდარტების დაცვით მოეწყო ფონდსაცავები, სამეცნიერო ლაბორატორიები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა-მედიათეკა და საზოგადოებრივი სივრცეები.

ძეგლთა დაცვის სააგენტოს დაფინანსებით **მიმდინარეობს** სათხის ეკლესიის III ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები (180 ათასი ლარი); ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის (ფასადი, ინტერიერი) ქვისა და კედლის მხატვრობის კონსერვაციის სამუშაოები (200 ათასი ლარი);

## სპორტი

**ბოლნისში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული:** ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა „ნონა“, ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ბოლნისის ძიუდოს სკოლა“ და ააიპ „რაგბის კლუბი ბოლნისი“.

**2014 წლის შემდეგ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება და 2020 წლის ბიუჯეტის ხარჯმა 3 მლნ ლარი შეადგინა.**

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, თავისუფალი ჭიდაობა, კიკბოქსინგი, ჭადრაკი, ძალოსნობა, კრივი და კარატე.

2013-2021 წლებში, **სპორტული კომპლექსის** მოსწავლეთა რაოდენობა 376-დან 705-მდე გაიზარდა, ხოლო **საჭადრაკო სკოლის** – 60-დან 175-მდე; **ძიუდოს სკოლაში ირიცხება:** ძიუდოს სახეობაში 112-მოსწავლე და 10 მწვრთნელი; სამბო – 36 მოსწავლე და 3 მწვრთნელი; ქართული ჭიდაობა – 23 მოსწავლე და 1 მწვრთნელი; **რაგბის კლუბ „ბოლნისში“** ირიცხება: სპორტსმენი – 570, მწვრთნელი: I კატეგორია – 20; II-კატეგორია – 15; III კატეგორია – 1, IV – 1;

2018-2020 წლებში, ყოველწლიურად აღინიშნება ევროპის სპორტის კვირეული და საერთაშორისო დღე „სპორტი მშვიდობისა და განვითარებისთვის“. აღსანიშნავია ბოლნისელ სპორტსმენთა წარმატებები რეგიონულ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებზე.

ბოლნისში ჩატარდა 41 შიდამუნიციპალური პირველობა სპორტის 8 სახეობაში. 10 საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, 4 – სამბოში და 3 – რესპუბლიკური ტურნირი კარატეში.

2017 და 2019 წლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტს ჰყავდა: **მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში, ევროპის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს 6 ჩემპიონი და 14 პრიზიორი.** ამავე პერიოდში 18-მდე გაიზარდა საქართველოს ნაკრებ გუნდებში ბოლნისიდან მიწვეულ სპორტსმენთა რაოდენობა. **2018/2019/2020 წლებში – 28 პრიზიორი სამბოში, 8 ჩემპიონი სამბოში, 34 ჩემპიონი ძიუდოში, 33 პრიზიორი ძიუდოში.** წახალისების მიზნით, საკრებულოს დადგენილებით, წარმატებული სპორტსმენები ჯილდოვდებიან ფულადი პრემიით.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები,** მათ შორის, **2014-2016 წლებში:** ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის საქვაბე-დანადგარის სადემონტაჟო სამუშაოები (2,5 ათასი ლარი); სოფ. რაჭისუბანში, ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონის რეაბილიტაცია (43,5 ათასი ლარი); დაბა კაზრეთში სტადიონის რეაბილიტაცია (97,2 ათასი ლარი); ქ.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ბოლნისში თ.სტეფანიას სახელობის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია (49,4 ათასი ლარი); საჭიდაო დარბაზის მოწყობა სოფელი ხატისოფელში (47,8 ათასი ლარი). **2015 წელს:** განხორციელდა ხელოვნურსაფარიანი სპორტული მინიმოედნების რეაბილიტაცია ქ. ბოლნისში, გეოლოგების დასახლებაში (44,9 ათასი ლარი) და სოფელი რაჭისუბანში (22 ათასი ლარი); დაბა კაზრეთში სტადიონის რეაბილიტაციას 96,2 ათასი ლარი მოხმარდა; სოფელ ძეძვნარიანში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობაზე 22 ათასი ლარი დაიხარჯა. **2017 წელს** დასრულდა მკავლჭიდის დარბაზის ნაწილობრივი რეაბილიტაცია დაბა კაზრეთში (5, 9 ათასი ლარი); ქ. ბოლნისში, ანდრეევკის დასახლებაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (65,3 ათასი ლარი); **2018 წელს** – საჭიდაო დარბაზის სრული რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი სოფელ ხატისოფელში (101,7 ათასი ლარი). **2019 წელს:** დაბა კაზრეთში დასრულდა საჭიდაო დარბაზის სრული რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი და გათბობის სისტემის მონტაჟი (126,2 ათასი ლარი). ახალი ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონები მოეწყო სოფელ დისველში (17,1 ათასი ლარი), ქ. ბოლნისში, პეტრე იბერის ქ.№3 (152,8 ათასი ლარი), ჯანსუღ კახიძის ქუჩაზე (სკვერის მოწყობასთან ერთად – 142,8 ათასი ლარი), ასევე დაბა კაზრეთში განხორციელდა კულტურისა და დასვენების პარკთან არსებული ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (ჯამურად 98, 3 ათასი ლარი, რეგ. ფონდი), არსებული სტადიონის რეაბილიტაცია დაბა თამარისში (23,9 ათასი ლარი); კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა დაბა კაზრეთში მდებარე საჭიდაო დარბაზის შენობას (7,7 ათასი ლარი).

**2020 წელს** მინიმოედნები მოეწყო სოფელ ზემო არქევანსა (16 ათასი ლარი) და დაბა თამარისში (16 ათასი ლარი); ასევე დაბა თამარისში რეაბილიტაცია ჩაუტარდა არსებულ მინისტადიონს (30,7 ათასი ლარი); სპორტული მოედანი მოეწყო სოფელ ვანათში (30,3 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ბოლნისში, ს.ს.ორბელიანის ქუჩაზე მდებარე დასასვენებელი პარკის ტერიტორიაზე არსებულ მინისტადიონს (271,2 ათასი ლარი 2019 წლის რეგ. ფონდიდან – 99 125 ლ); სოფელ რაჭისუბანში მოეწყო და გადაიხურა გარე სავარჯიშო ტრენაჟორები (29,1 ათასი ლარი).

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდობის სფეროში ბოლნისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტები:** ბოლნისში, მარნეულსა და ახალქალაქში გაიმართა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებში სწრაფი ბეჭდვისა და ლოგიკური აზროვნების კონკურსი. ამისთვის შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა. 2013 წლის 13 ნოემბერს ქ. ბოლნისში ჩატარდა „ქვემო ქართლის ახალგაზრდული ფესტივალი-2013“; შშმ პირების მონაწილეობით მოეწყო ინკლუზიური ექსკურსია ბოლნისში; „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციასთან“ ერთად, სოფ. ფოლადაურში მოეწყო 450-კაციანი ერთობლივი საზაფხულო სკაუტური ბანაკი.

**სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით,** მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ა(ა)იპ – „ახალგაზრდული ხედვა კავკასია“ – განახორციელა პროექტი „ბოლნისის ახალგაზრდული ლიტერატურული კლუბი“ (3,7 ათასი ლარი).

2017-2019 წლებში, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში (ლაშქრობების მონაწილეთა ტრანსპორტირება, ახალგაზრდა სპორტსმენთა და გულშემატკივართა, ასევე, სახელოვნებო სფეროს წარმომადგენელთა ტრანსპორტირება სხვადასხვა ტურნირსა და კონკურსზე და სხვ.) 37 481 ლარი დაიხარჯა. 2021 წელს ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროების კვლევა; საქართველოს წითელი ჯვრის კოორდინირებითა და სააგენტოს მხარდაჭერით, შეიქმნა ახალგაზრდული საბჭო. დასრულდა ადგილობრივ ახალგაზრდულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა.

**კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- შეიქმნება სააღრიცხვო ბარათის ელექტროვერსია, რომლის საშუალებით მოსახლეობა, მათ შორის ტურისტი, გაეცნობა საქართველოს, კერძოდ, ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებულ უნიკალურ ისტორიულ ძეგლებს.
- განხორციელდება ქ. ბოლნისისა და დაბა კაზრეთის კულტურის სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, რაზეც, საერთო ჯამში, 900 ათასი ლარი დაიხარჯება;
- 2021 წელს დასრულდება სათხის ციხის სარეაბილიტაციო/საკონსერვაციო სამუშაოები. პროექტის საერთო ღირებულება 500 ათასი ლარია.
- განხორციელდება სულხან-საბა ორბელიანის მუზეუმის რეაბილიტაცია სოფელ ტანძიაში (160 ათასი ლარი);
- 2022 წელს დაგეგმილია სოფელ ბოლნისში, ღაზაროს აღაიანის სახლ-მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია (200 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სათხის ეკლესიის რესტავრაცია-რეაბილიტაცია – 250 ათასი ლარი;
- დაგეგმილია ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია დაბა თამარისში, სოფელ ქვეშსა და რატევანში;
- დაგეგმილია წუღრუღაშენის ტაძარის რეაბილიტაცია/ ქვის კონსერვაცია 1 მლნ ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2021-2023 წლებში დაგეგმილია ქალაქ ბოლნისის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 2,1 მლნ ლარი; სოფელ რატევნის სტადიონის სრული რეაბილიტაცია – 400 ათასი ლარი; 2024 წელს დაგეგმილია ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ქ. ბოლნისში – 3,5 მლნ ლარი;
- 2017 წელს საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, წარმატებული სპორტსმენები 2021-2025 წლებშიც მიიღებენ ფულად წახალისებას.
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- 2021 წელს გადამზადდება ბოლნისის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი ახალგაზრდული პოლიტიკის კოორიდნატორად.

# მართლწესრიგი

## დანაშაულის სტატისტიკა

**2017-2020 წლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:**

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, 2017-2020 წ.წ.კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 27 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 17, ანუ 63 %, რაცგახსნის საშუალო მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად6-7 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მატიზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომი განვითარება გაგრძელდება „სისტემური განახლების“ კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება კრიმინალური პოლიციის რეფორმა; კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

## პრობაციონერთა სტატისტიკა

2016-2019 წწ. ბოლნისის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

სტატისტიკიდან ჩანს, მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, დასტაბილურდა და, 2017-2020 წლებში, კლების ტენდენცია გამოიკვეთა.

მოქმედ პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები პროცენტულად მაღალი არ არის და 6,3%-ს არ აღემატება (2019 წელს), ხოლო გასულ, 2020 წელს სულ 2 ასეთი შემთხვევაა რეგისტრირებული, რაც პრობაციონერთა 1,5%-ს შეადგენს. პრობაციონერთა რეციდივის დაბალი მაჩვენებელი მკაფიოდ მეტყველებს, რომ მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური მდგომარეობა სტაბილურია.

პრობაციის სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტში 2 მსჯავრდებული დასაქმდა. სამომავლოდ სააგენტო მეტ მსჯავრდებულს შეუწყობს აქტიურად ხელს ადგილზე დასასაქმებლად. ასევე, მიუხედავად პანდემიის გამოწვევისა, განზრახულია მუნიციპალიტეტში პრობაციონერთათვის სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის დანერგვა და ეფექტიანი განხორციელება.

## ბოლნისის იუსტიციის სახლი დასაზოგადოებრივი ცენტრი

**2019 წლის 27 დეკემბრიდანქალაქ ბოლნისში შეუფერხებლად მუშაობს იუსტიციის სახლი, რომელიც მოსახლეობას 450-მდე სახის მომსახურეობას უწევს;**

იუსტიციის სახლის გახსნის შემდგომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა მისთვის კომფორტულ გარემოში, ერთ შენობაში, ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე და მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები. იუსტიციის სახლის მომსახურეობით კმაყოფილების ხარისხი, ჩატარებული კვლევების შესაბამისად – 92%-ს აღწევს, რაც საჯარო მომსახურეობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2017 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ხაზგასმული იქნა მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების უაღრესად დიდი მნიშვნელობა. საზოგადოებრივი ცენტრი, იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება. ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

**ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში საზოგადოებრივი ცენტრი 2015 წლის 22 ივნისიდან შეუფერხებლად მუშაობს.**

**ცხ. 1 ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.**

| მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|
| განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>2 | 3<br>2 | 1<br>1 | 2<br>2 |
| მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)<br>მათ შორის, გახსნილი | 2<br>0 | 2<br>0 | 0<br>0 | 4<br>3 |
| გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 2<br>2 | 4<br>1 | 0<br>0 |
| ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 0<br>0 | 0<br>0 | 2<br>2 | 0<br>0 |
| ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)<br>მათ შორის, გახსნილი | 3<br>2 | 0<br>0 | 0<br>0 | 0<br>0 |
| სულ<br>მათ შორის გახსნილი | 7<br>4 | 7<br>4 | 7<br>4 | 6<br>5 |

**ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ბოლნისის მუნიციპალიტეტში**

| პრობაციონერთა სტატისტიკა | 2017 წ | 2018 წ | 2019 წ | 2020 წ |
|---|---|---|---|---|
| მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა | 165 | 149 | 126 | 131 |
| არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| დანაშაულის რეციდივის შემთხვევები | 6 (3,6%) | 3 (2%) | 8 (6,3%) | 2 (1,5%) |
| სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა | 0 | 0 | 0 | 0 |
| პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა | 0 | 1 | 1 | 0 |




# ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივია, კიდევ ერთხელ მოგმართოთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატის რანგში. იყო ხალხის სამსახურში, უდიდესი პასუხისმგებლობაა, რომელსაც ვგრძნობ და მსურს, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის კიდევ უფრო მეტი შრომა გავწიო.

აქვე, მსურს, მადლობა გადაგიხადოთ 2017 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მხარდაჭერისა და გვერდით დგომისთვის.

ჩემო თანამოქალაქენო, ყველა მიცნობთ და იცით, თუ რაოდენ დიდი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში ამ ქალაქისადმი სიყვარულს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ბოლნისი ჩემთვის ის ადგილია, სადაც დავიბადე და გავიზარდე. მიყვარს და მახარებს ყველა ის პროექტი, რაც განვლილი წლების განმავლობაში ერთად განვახორციელეთ.

ჩემთვის ცნობილია არსებული პრობლემები, ისიც ვიცი, თუ რა შესაძლებლობები გვაქვს მათ დასაძლევად. დარწმუნებული ვარ, თქვენი მხარში დგომით, ერთად განვაგრძობთ და ბოლომდე მივიყვანთ მუნიციპალიტეტში დაწყებულ აღმშენებლობის პროცესს.

თქვენს გვერდით მიგულეთ, როგორც მერი და რიგითი მოქალაქე, ბოლნისისა და ჩვენი ქვეყნის ქომაგი.

მოგიწოდებთ მხარდაჭერისა და ერთიანობისკენ! ბოლნისის მომავალს ერთად შევქმნით!

**„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:**



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.